საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №04

ქ. ბათუმი 27 ოქტომბერი, 2017 წ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N102 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები „ბსუ–ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,დანართის:

ა) 23-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 23[1]-ე ქვეპუნქტი:

,,23[1]. ამ წესის 21-ე პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება ბსუ-ს ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეულ ბსუ-ს პერსონალზე.“

ბ) 26-ე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დამატებით სპეციალობაზე/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე არანაკლებ 15 სტუდენტით, გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამების დამატებით/არჩევითი სპეციალობებისა, რომელზეც კონკრეტული საჭიროების დასაბუთებით, გამონაკლისი დაშვებული იქნება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.“

2. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დ.ბარათაშვილი**